

## საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ – კრიტიკული ანალიზი

ენცო ლ. ვიალი\*

### 1. ლიზინგის შესახებ ახალი კანონის მიზანშეწონილობა

საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ ახლახან მიღებული საქართველოს კანონით „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ (ლიზინგის კანონი) განიზრახა, ამომწურავად მოენსრიგებინა სალიზინგო-სახელმეკრულებო ურთიერთობები და შეექმნა მისთვის საკუთარი საკანონმდებლო საფუძველი.

ეს წამოწყება, ერთი შეხედვით, ძალიან პროგრესული ჩანს: ლიზინგი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, სულ რაღაც 30 წელია არსებობს და, აქედან გამომდინარე, იგი გაცილებით ახალგაზრდაა, ვიდრე დასავლეთის სამოქალაქო კანონები და შესაბამისად, ზოგიერთი გამოწვევის გარდა, არ არის მონესრიგებული როგორც ხელმეკრულების ცალკე ტიპი. შესაბამისად, ლიზინგის ხელმეკრულება განიხილება ან (არატიპობრივ) ქირავნობად, ან – ხელმეკრულების დადების თავისუფლების შედეგად – ხელმეკრულების განსაკუთრებულ ტიპად (*sui generis*), რომელიც ნაწარმოებია ქირავნობის სამართლიდან. ცალკეულ ქვეყანაში ლიზინგის მოსაწესრიგებლად იყენებენ ნასყიდობის, სესხისა და მომსახურების სამართლის ნაწილებს. ლიზინგის სამართლებრივი კონსტრუქცია კომპლექსურია და დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ცხადად მონესრიგდეს მისი ცნების ძირითადი საფუძვლები მაინც.

თუმცა საქართველოში ლიზინგის ახალი კანონის მიღებამდე სალიზინგო ურთიერთობა უკვე მონესრიგებული იყო, კერძოდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) შექმნისას გადაწყვიტა, გაეთვალისწინებინა იგი ხელმეკრულების დამოუკიდებელ ტიპად კოდექსის მესამე წიგნის მე-4 თავში (576-ე-580-ე მუხლები). მე-4 თავი იძლევა ლიზინგის ცნების დეფინიციას (576-ე მუხლი) და აწესრიგებს ლიზინგის ხელმეკრულების ფორმისა და შინაარსის მიმართ წაყენებულ მინიმალურ მოთხოვნებს (577-ე მუხლი). პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებთან ერთად, რაც ლიზინგის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, ხდება მითითება სსკ-ის ქირავნობის ხელმეკრულების მომწესრიგებელ ნორმებზე. ეს მითითება კი უზრუნველყოფს ლიზინგის ურთიერთობის საკანონმდებლო მონესრიგებას ხარვეზების გარეშე. 576-ე მუხლის დეფინიციამ შესახურება სამართლებრივ სიცხადეს და სანიმუშო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. სსკ-ის დებულებები შეესაბამება დასავლეთის კანონმდებლობაში გაბატონებულ პრაქტიკას, სადაც ლიზინგი ქირავნობის სამართლიდან ინარმოება, ან უშუალოდ ქირავნობის სამართლით წესრიგდება.

საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ, მისი პრეამბულის შესაბამისად, მიზნად ისახავს, მოაწესრიგოს უფლებები და მოვალეობები, რომლებიც გამომდინარეობენ სსკ-ში გათვალისწინებული ლიზინგის ხელმეკრულებიდან. აღნიშნული საფუძველი არ ასაბუთებს სპეციალური კანონის მიღების საჭიროებას, ვინაიდან სსკ-ში მოცემული ნორმები სავსებით საკმარისია. ლიზინგის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, რომ გამოვიყენოთ სამოქალაქო კოდექსისა და ქირავნობის სამართლის უკვე ცნობილი და წლების მანძილზე განვითარებული საყოველთაო

\* გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) რეგიონალური პროექტის - „სასამართლოსა და იუსტიციის რეფორმების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ - იურისტი.

## სტატივა

ნორმები. ლიზინგის სამართალი, რომელიც დააკმაყოფილებს მასთან დაკავშირებულ მრავალმხრივ ინტერესებს, უნდა იყოს ძალზე დეტალური და კომპლექსური. ამიტომ ევროპული კავშირის სახელმწიფოების უმრავლესობამ უარი თქვა ლიზინგის შესახებ დეტალური კანონის შექმნაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკე ლიზინგის კანონის მიღება თავისთავად არც საჭიროდ და არც გონივრულად არ მიიჩნევა, დეტალურად განვიხილავთ მას, რათა შევაფასოთ მისი დებულებების მიზანშეწონილობა და მათ შორის არსებული ურთიერთკავშირები.

## 2. ლიზინგის კანონის ცალკეული ნორმები

### ა) 1-ლი თავი – „ზოგადი დებულებები“

პირველ რიგში, ლიზინგის ახალ კანონს აკლია მითითება სსკ-ის 576-ე-580-ე მუხლებსა და ქირავნობის სამართალზე, რომელნიც, 580-ე მუხლის მიხედვით, უნდა გამოიყენებოდნენ ლიზინგის ხელშეკრულებების მიმართ. ლიზინგის ახალი კანონის იერარქიული დამოკიდებულება სსკ-ში მოცემულ ლიზინგის სამართალთან და სსკ-ის ქირავნობის სამართალთან ბუნდოვანია.

1-ლი მუხლი გვაძლევს კანონში მოცემულ ტერმინთა დეფინიციას. მისი სათაური – „ცნებათა განმარტება“ – შეცდომაში შემყვანია, რადგანაც იგი არ მოიცავს განმარტებებს, არამედ იძლევა მხოლოდ ცნებათა დეფინიციებს. მე-2 მუხლი – „ლიზინგის სახეები“ – აყალიბებს ლიზინგის ხელშეკრულების სპეციალურ სახეებს.

ორივე ეს მუხლი სისტემურად ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის. პირველ მუხლში მოცემული ე.წ. დეფინიციები ნაწილობრივ სცილდება ტერმინთა დეფინიციას და ქმნის ხელშეკრულების გარკვეულ ტიპებს (რაც, სისტემური თვალსაზრისით, მე-2 მუხლს მიეკუთვნება), ან აყალიბებს სამართლებრივ ვალდებულებებს (რაც სისტემურად მე-3 თავში უნდა იყოს მოწესრიგებული).

1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი სცილდება ტერმინის განმარტებას, რადგანაც იგი „ლიზინგის“ განმარტებას კი არ იძლევა, არამედ ადგენს ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების ძირითად მოვალეობებს. რაც შეეხება ძირითად მოვალეობებს, აქ გამეორებულია სსკ-ის 576-ე მუხლის შინაარსი, მხოლოდ სხვა სიტყვებით. იმის გამო, რომ, როგორც ითქვა, სამოქალაქო კოდექსისა და ლიზინგის კანონის იერარქიული ურთიერთმიმართება ნათელი არ არის, ისმება კითხვა, თუ რა მიზანს ემსახურება ეს გამეორება. ამით იქმნება ლიზინგის ხელშეკრულების ლეგალური დეფინიციის შემცველი ორი კონკურენტული ნორმა.

1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის წინადადების მეორე ნახევარი ეწინააღმდეგება სსკ-ის 576-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველ წინადადებაში მოცემულ დებულებას. ეს დებულება ასეა ჩამოყალიბებული: „ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, ან მიენიჭოს უფლება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი, ან დაიქირავოს იგი, თუ ხელშეკრულება საგნის სრული ამორტიზაციით არ მთავრდება (...)“. ლიზინგის კანონის 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის წინადადების მეორე ნახევარი კი სავალდებულოდ მიიჩნევს ლიზინგის მიმღების უფლებამოსილებას ან ვალდებულებას, შეისყიდოს საგანი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ისე, რომ ეს არ საჭიროებდეს ხელშეკრულებაში სათანადო შეთანხმებას. ასეთი ფორმულირება არა მარტო ეწინააღმდეგება სსკ-ს, არამედ ზედმეტიცაა. საერთაშორისო მასშტაბით საყოველთაოდ აღიარებულია ლიზინგის ხელშეკრულებები მათი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ყიდვის აუცილებელი ოფციის გარეშე. ნათელი არ არის მიზეზი, თუ რატომ მოიცავს ლიზინგის ცნების განმარტება შესყიდვის ოფციის აუცილებლობას.

## სტატია 30

1-ლი მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ასევე სცილდება ტერმინის განმარტების ფარგლებს და ქმნის ე.წ. „განგრძობადი ლიზინგის“ სამართლებრივ კონსტრუქციას, თუმცა ლიზინგის ხელშეკრულების ეს ტიპი დასახელებული არ არის მე-2 მუხლში მოცემული ლიზინგის სახეების ჩამონათვალში. იმის გამო, რომ მე-2 მუხლში მოცემული ჩამონათვალი ამომწურავია, წარმოიშობა აშკარა წინააღმდეგობა 1-ლი მუხლის „თ“ ქვეპუნქტსა და მე-2 მუხლს შორის.

განგრძობადი ლიზინგის დეფინიცია მოცემულია მხოლოდ მე-4 მუხლში. კანონის სისტემის თვალსაზრისით, არასწორია ამ სამართლებრივი ინსტიტუტის 1-ლ მუხლში განმარტება, მისი დაუსახელებლობა მე-2 მუხლის ჩამონათვალში და შემდგომ, მისი კვლავ განმარტება სპეციალურ დებულებაში.

ამასთან, 1-ლ და მე-4 მუხლებში მოცემული დებულებები ეწინააღმდეგება ერთმანეთს არა მარტო სისტემური თვალსაზრისით, არამედ შინაარსობრივადც – მაშინ, როცა: 1-ლი მუხლის „თ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ „ლიზინგის საგნის სარგებლობის უფლების გადაცემა მესამე პირისათვის ლიზინგის მიმღების მიერ ხდება ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე“, მე-4 მუხლის 1-ლ პუნქტში საუბარია ზოგადად „ლიზინგის ტიპზე...“, რომლის საფუძველზეც ლიზინგის მიმღები ლიზინგის საგანს მესამე პირს გადასცემს“. წინააღმდეგობრივი რჩება საკითხი, გათვალისწინებულ უნდა იქნეს თუ არა ლიზინგით აღებული საგნის გადაცემა მესამე პირზე თავდაპირველ ლიზინგის ხელშეკრულებაში. ასევე გაუგებარია, 1-ლი მუხლის „თ“ ქვეპუნქტით („ლიზინგის საგნის გამოყენების უფლების მესამე პირზე გადაცემა“) და მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით (საგნის მესამე პირზე გადაცემა) ლიზინგის საგნის გადაცემაში იგულისხმება მესამე პირზე საგნის ხანგრძლივი დროით, თუ დროებით გადაცემა ან - რა სამართლებრივი საფუძველი უნდა, ან შეიძლება გააჩნდეს ამ გადაცემას.

მე-2 მუხლი იძლევა ოთხი სახის ლიზინგის დეფინიციას:

ლიზინგის ხელშეკრულება, როდესაც ლიზინგის მიმცემი თვითონ არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე ან მწარმოებელი (ეს შეესაბამება გერმანულ სამართალში ე. წ. „მწარმოებლის ლიზინგს“), მოცემულია მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში „პირდაპირი ლიზინგის“ სახელწოდებით. რატომ გახდა ასეთი დეფინიცია საჭირო, გაუგებარია, რადგანაც ლიზინგის ხელშეკრულება ცალკეული ტიპების მიხედვით არ არის გამიჯნული კანონის სხვა დებულებებში და არც სსკ-ში;

„ბ“ ქვეპუნქტი იძლევა ე. წ. „კომპენსაციური ლიზინგის“ დეფინიციას (სალიზინგო საზღაურის გადახდა ხდება ლიზინგის მიმღების მიერ საქონლის მიწოდების ან მომსახურების ფორმით). შეთანხმება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღაურის გადახდა ფულადის ნაცვლად სხვა სახით მოხდეს, ჩვეულებრივ, სახელშეკრულებო შეთანხმების საკითხია და, რასაკვირველია, მხარეთათვის ნებადართულია სსკ-ის დებულებების შესაბამისად. ზედმეტია ასეთი სახელშეკრულებო შეთანხმებისათვის ლიზინგის ხელშეკრულების სპეციალური სახის შემუშავება;

„გ“ ქვეპუნქტი იძლევა ე.წ. „სერვისული ლიზინგის“ დეფინიციას, რომლის ფორმულირება ძალზე გაურკვეველია, და რომელმაც, ალბათ, ლიზინგის სპეციალური სახე უნდა შექმნას, რის მიხედვითაც, ლიზინგის გამცემს ეკისრება ისეთი დამატებითი ვალდებულებები, როგორცაა ლიზინგის საგნის მოვლა და დაზღვევა. აქაც იბადება კითხვა, თუ რატომ ქმნის დამატებითი ვალდებულებების დანესება, რომელზეც შეთანხმება შეიძლება მოხდეს მხარეთა მიერ ლიზინგის კონკრეტულ ხელშეკრულებაში, ლიზინგის კანონით განსაზღვრულ სპეციალურ ტიპს;

დაბოლოს, „დ“ ქვეპუნქტი ყველა შემთხვევას, რომლებიც არ ექცევიან „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მოწესრიგებული ხელშეკრულების ტიპების ქვეშ, განმარტავს როგორც „სუფთა ლიზინგს“.

## სტატიკა

იმის გამო, რომ კანონმდებელი აყალიბებს მხოლოდ „ლიზინგის სახეების“ დეფინიციას, მაგრამ არ განსაზღვრავს მხარეთა გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს ლიზინგის ხელშეკრულების ცალკეულ ტიპთან მიმართებით, გაუგებარი რჩება ამ დეფინიციითა მნიშვნელობა და დატვირთვა. ამას ემატება ისიც, რომ „ლიზინგის სხვადასხვა სახე“ ერთმანეთთან ნებისმიერი კომბინირების საშუალებას იძლევა. მაგალითად, თუ ლიზინგის გამცემი ლიზინგით გასცემს თავის მიერ წარმოებულ ნივთს, გააფორმებს ამ საგანზე დაზღვევას და ლიზინგის მიმღები საბოლოოდ საზღაურს ნატურით გადაიხდის, სახეზე იქნება ერთდროულად „პირდაპირი ლიზინგი“, „ანაზღაურების ლიზინგი“ და „სერვისული ლიზინგი“. ეს, მართალია, არ არის საზიანო, მაგრამ არც რაიმე სიკეთის მომტანი იქნება, რადგანაც ამ კლასიფიკაციიდან არ წარმოიშობა არავითარი სამართლებრივი შედეგი.

ლიზინგის განსხვავებული სახის ლეგალური დეფინიციის მხოლოდ მაშინ იქნებოდა მიზანშეწონილი, თუ იგი განსხვავებულ სამართლებრივ კონსტრუქციებს განაპირობებს. გონივრული იქნებოდა, მაგალითად, განსხვავება გაკეთებულიყო ჩვეულებრივ „საფინანსო ლიზინგსა“ (როცა ხდება ლიზინგის საგნის ხანგრძლივი დროით გადაცემა) და „ოპერატიულ ლიზინგს“ (როცა ხდება ლიზინგის საგნის მოთხოვნილების შესაბამისად მოკლე დროით გადაცემა) შორის. რადგანაც საფინანსო ლიზინგი უფრო ნასყიდობის სამართლის ელემენტებს ატარებს, ოპერატიული ლიზინგი კი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ქირავნობის სამართლით ნესრიგდება. აქედან გამომდინარეობს შესაბამისი განსხვავება ისეთ საკითხებში, როგორცაა დაფინანსება, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების მოშლის უფლება. თავისებურებები ახასიათებს, აგრეთვე, ე.წ. *sale-and-lease-back* (ნასყიდობა და ლიზინგით უკან მიღება) ხელშეკრულებებს, როცა ნივთის გამყიდველი და ლიზინგის მიმღები ერთი და იგივე პირია. ამ სახის სახელშეკრულებო კონსტრუქციისათვის ლიზინგის ხელშეკრულების ცალკეული ტიპების შექმნას აზრი ექნებოდა, თუ შემუშავდებოდა შესაბამისი სპეციალური დებულებები პასუხისმგებლობასა და უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ამგვარად, ვერ იქნა გამოყენებული შესაძლებლობა, ლიზინგის სხვადასხვა სახის არსებითად დიფერენციაციის მეშვეობით ჩამოყალიბებულიყო განსხვავებული, ხელშეკრულების მხარეთა ინტერესის შესატყვისი ხელშეკრულების ტიპები. ამრიგად, მე-2 მუხლის არსებობა იმ სახით, რა სახითაც იგი ახლაა ჩამოყალიბებული, ზედმეტია და დამაბნეველი.

### ბ) მე-2 თავი – ლიზინგის ხელშეკრულება

ლიზინგის კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი აყალიბებს ლიზინგის ხელშეკრულების შინაარსის მიმართ ნაყენებულ მინიმალურ მოთხოვნებს. ამასთან, იგი არ ითვალისწინებს მითითებას სსკ-ის 577-ე მუხლში მოცემულ პარალელურ ნორმაზე, რომლის მიერ დაწესებული მინიმალური მოთხოვნები შემოფარგლულია წერილობითი ფორმის აუცილებლობით და მოითხოვს მთლიან ფასზე, თანხაზე, გადახდის ვადებსა და ასევე, საბოლოო გადახდის პირობებზე წერილობით შეთანხმებას. ლიზინგის კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი კი აწესებს მრავალმხრივ შინაარსობრივ მოთხოვნებს, რომლებიც, საბოლოოდ, საკმაოდ ზღუდავენ ხელშეკრულების თავისუფლებას.

მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი იმეორებს 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის წინადადების მეორე ნახევარს, რომლის მიხედვითაც, ლიზინგის მიმღები ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე. ეს, ამავე დროს, ნიშნავს იმას, რომ ლიზინგის ყველა ის ხელშეკრულება, რომლებიც არ მოიცავენ ყიდვის ოფციას, ლიზინგის კანონის მიხედვით, არ წარმოადგენს ლიზინგის ხელშეკრულებას (თუმცა ასეთებზე ჩაითვლებიან სსკ-ის მიხედვით). ასეთი სახის შეზღუდვა არ შეესაბამება ლიზინგის არსსა და მიზანს და გაუმართლებელია თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით.

„ბ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა ძირითადად უნდა შეესაბამებოდეს ლიზინგის საგნის ეკონომიკური მოხმარების ვადას. ამით გამოირიცხება

დასავლეთის ყველა ქვეყანაში არსებული ჩვეულებრივი ოპერატიული ლიზინგი, როცა ლიზინგის ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ან მოკლე ვადით და რომლის დროსაც ერთი საგანი თანმიმდევრულად რამდენიმე ლიზინგის მიმღებს გადაეცემა.

შემდგომი დებულებები განსაზღვრავს დამატებით მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ლიზინგის ხელშეკრულება საკუთრების უფლების გადასვლასთან და შესაბამის შემთხვევებში, ლიზინგის გამცემზე გადასახდელ თანხასთან დაკავშირებით. ამ ენობრივად ცუდად ფორმულირებულ ნორმებს აერთიანებს ის, რომ ისინი ლიზინგის ხელშეკრულებას კონკრეტულ ჩარჩოში აქცევენ, რომელიც ძირითადად საფინანსო ლიზინგის ტიპზეა ორიენტირებული. ამით ლიზინგის ხელშეკრულებად არ მიიჩნევა ყველა სხვა ხელშეკრულება, რომლებშიც შეთანხმება ლიზინგის სხვა სახეზე ხდება, ან რომელშიც აღინიშნება ხელშეკრულების მხარეთა ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისი მოდიფიცირება. შესაბამისად, ლიზინგის ხელშეკრულების ერთი-ერთი ტიპი ერთადერთ დასაშვებ ტიპად მოგვევლინა, რისი მიზეზიც გაუგებარია. მე-3 მუხლის ძირითად შედეგს ის წარმოადგენს, რომ ლიზინგის ხელშეკრულებათა სამართლებრივი შესაძლებლობები მინიმუმამდე მცირდება და ხელშეკრულების მხარეები რეალობის სანინაალმდეგო ჩარჩოებში ექცევიან. ამგვარი დებულება ცხადყოფს, რომ კანონის ავტორები არ იცნობენ თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების სამართლებრივ სინამდვილეს, რასაც ხელშეწყობის ნაცვლად მნიშვნელოვანი ზიანის მოტანა შეუძლია.

ამასთან, ეს დებულებები არ არის კეთილგანწყობილი მომხმარებელთა მიმართ და ლიზინგის მიმღებს ისეთ ფართო მოვალეობებს აკისრებს, რომელთაც არ იცნობს დასავლეთ ევროპის სამართალი. მაგალითად, ლიზინგის მიმღებს არ შეუძლია ხელშეკრულების მოშლა, თუ მას, „სულ ცოტა“, ლიზინგის საზღაურის თანხა სრულად არა აქვს გადახდილი („გ“ ქვეპუნქტი).

შემდგომ, ლიზინგის კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაა, რომ ლიზინგის ხელშეკრულება, „როგორც წესი“, უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რა შემთხვევაში ითვლება ხელშეკრულების საგანი მიღებულად და რა ვადაში უნდა იქნეს იგი მიღებული. შინაარსობრივად ეს დებულებაც ბუნდოვანია. გაუგებარია, რომელმა მხარემ რა აუცილებელი პირობები უნდა შეასრულოს, რომ ხელშეკრულება იურიდიული ძალის მქონე გახდეს. აღნიშნულის „სასურველ“ (დისპოზიციურ) ნორმად ჩამოყალიბება დებულებას მხარეთა ნებაზე დამოკიდებულს ხდის, რის გამოც მისი არსებობა გაუმართლებელია.

დასკვნის სახით, მე-3 მუხლი არაა აუცილებელი და ამასთან, გამოუსადეგარია. მას ლიზინგის მთელი სამართალი რამდენიმე სტანდარტულ ხელშეკრულებაზე დაყავს და ყველა სხვა ლიზინგის ხელშეკრულების შესაძლო ტიპისათვის უფრო მეტ სამართლებრივ გაურკვევლობას ქმნის, ვიდრე სამართლებრივ სიცხადეს. იმ ხელშეკრულებებში, რომლებიც მე-3 მუხლის დებულების ქვეშ ექცევიან, განსაკუთრებით საერთაშორისო გამოცდალების გათვალისწინებით, გადაჭარბებულადაა შეზღუდული ლიზინგის მიმღების უფლებები. გაუგებარია, რამ განაპირობა ცხადი და საბაზრო ეკონომიკაზე გათვლილი სსკ-ის 577-ე მუხლის გვერდით დამატებითი შეზღუდვების დანესება.

მე-5 მუხლი განსაზღვრავს, რომ ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში, თუმცა მისი რეესტრში დაურეგისტრირებლობა ზეგავლენას არ ახდენს ხელშეკრულების მოქმედებაზე. რეესტრაციის შესაძლებლობა შეიძლება დარეგულირდეს რეესტრის მომწესრიგებელი ნორმებით და მისი სპეციალურ კანონში მონესრიგება საჭირო არ არის. თუ გარკვეული ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის რეესტრაცია სავალდებულო უნდა იყოს, მაშინ აუცილებელია შესაბამისი დებულება. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ამას ადგილი არა აქვს, მე-5 მუხლი უფუნქციოა.

გ) მე-3 თავი – ლიზინგის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები

მე-6 მუხლი ადგენს ლიზინგის მიმცემის საკუთრების შენარჩუნების უფლებას, რომლის მიხედვითაც იგი ნივთზე საკუთრების უფლებას არ კარგავს ნივთის სხვა მოძრავ ან უძრავ ნივთთან შერწყმის შემთხვევაშიც კი. აღნიშნული დებულება საზიანო არაა, რადგანაც ლიზინგის გამცემის საკუთრების უფლების დაცვა ლიზინგის სამართლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს დასავლეთის ქვეყნებში, როგორც წესი, ხელშეკრულების შესაბამისი დათქმით ხორციელდება. ასეთ ინდივიდუალურ დათქმებს ის უპირატესობა გააჩნია, რომ მათი მეშვეობით შეიძლება საკუთრების შენარჩუნების უფრო ზუსტი განსაზღვრა. სახელშეკრულებო დათქმის შემთხვევაში უფრო კარგად შეიძლება ცალკეული ნივთის თავისებურებათა და გამოყენების მიზნების გათვალისწინება.

მე-7 მუხლი აწესრიგებს ლიზინგის გამცემის უფლება-მოვალეობებს, მაგრამ არ სახელდება ლიზინგის გამცემის ძირითადი მოვალეობები. კერძოდ, კანონი არსად არ ასახელებს ლიზინგის გამცემის ყველაზე არსებით მოვალეობას – ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთის დროულ გადაცემას შეთანხმების შესაბამის ან უნაკლო მდგომარეობაში ლიზინგის მიმღებზე. ხელშეკრულების მხარეთა ძირითადი ვალდებულებები, ცხადია, ნებისმიერ სამოქალაქო კოდექსში ცენტრალური მნიშვნელობის ნორმებს წარმოადგენს. ლიზინგის კანონი არღვევს ამ ძირითად წესს და, უპირველეს ყოვლისა, ცალმხრივად აყალიბებს ლიზინგის მიმღების მოვალეობებს.

მე-7 მუხლში კრიტიკას იმსახურებს ლიზინგის გამცემის ხელშეკრულების მოშლის ფართო უფლება. გარკვეული წინაპირობების არსებობისას ლიზინგის გამცემს შეუძლია, განსაკუთრებით, თუ ლიზინგის მიმღებს გადახდისას წარმოექმნება სირთულეები (მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი), მოშალოს ხელშეკრულება შეტყობინების გარეშე. ხელშეკრულების მოშლის ასეთი უფლება საერთაშორისო მასშტაბით ძალზე უჩვეულოა და აშკარად ხელყოფს ლიზინგის მიმღების ინტერესებს. ლიზინგის მიმღების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების დარღვევისას, როცა არ სრულდება მე-4 პუნქტის სპეციალური წინაპირობები, ლიზინგის გამცემს ხელშეკრულების მოშლა შეუძლია მხოლოდ ხელშეკრულების მოშლის შესახებ წინასწარი შეტყობინების შემთხვევაში (მე-3 პუნქტი). შეტყობინების ვადა შეადგენს 15 დღეს.

ლიზინგის მიმღების მიერ ვალდებულების დარღვევისას ლიზინგის გამცემს შეუძლია, ლიზინგის საგნის დაბრუნების გარდა, მოითხოვოს ასევე საზღაურის მთლიანი თანხა და საგნის გადაცემით გამოწვეული ხარჯების სრული ანაზღაურება (მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი) საბაზრო ფასისა და უკვე გადახდილი თანხის გამოქვითვით. ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ლიზინგის გამცემს, როგორც წესი, სრულად შეუძლია შესრულების ინტერესის მოთხოვნა (მოგება, რასაც იგი ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში მიიღებდა). აღნიშნული ეწინააღმდეგება პრინციპს, რომ შესრულება სანაცვლო შესრულებაზე დამოკიდებული და შესაძლებელია მასზე უარის თქმა, თუ არ მოხდება სანაცვლო შესრულება. ეს გაუმართლებელ უპირატესობას ანიჭებს ლიზინგის გამცემს, რაც შეუთავსებელია სსკ-ის ვალდებულებითი სამართლის დებულებებთან. ამის საპირისპიროდ, ლიზინგის მიმღებს საერთოდ არა აქვს ხელშეკრულების მოშლის უფლება, შესაბამისად სსკ-ის 580-ე მუხლის ზოგადი მითითების საფუძველზე გამოიყენება მხოლოდ ქირავნობის სამართლის წესები.

მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ლიზინგის საგნის დაზიანებისა და დაღუპვის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა გადადის ლიზინგის მიმღებზე. ეს ნორმა არ შეესაბამება დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობის კანონებს, რომელთა მიხედვითაც გამქირავებელი ან ლიზინგის გამცემი, ვალდებულია მოუაროს ნივთს და ატარებს მისი შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკს. ჩვეულებრივ, ლიზინგის ხელშეკრულებაში აღნიშნული რისკი ლიზინგის მიმღებზე შეიძლება გადავიდეს სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ასეთი დათქმა

## სტატია 30

ხელშეკრულებაში, ჩვეულებრივ, დასაშვებადაა მიჩნეული, თუ იგი ლიზინგის მიმღების მდგომარეობას შეუსაბამოდ არ აუარესებს. ამრიგად, სამართლებრივი შედეგი იგივეა, რაც საქართველოს ლიზინგის კანონის მიხედვით.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ძირითადად, არაფერი შეიძლება გვექონდეს იმის სანინა-აღმდეგო, რომ საგანზე პასუხისმგებლობა კანონით დაეკისროს ლიზინგის მიმღებს. მიუხედავად ამისა, სისტემური და სამართლებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ასეთი წესი არასასურველია. რისკის განაწილებაში ასეთი ცვლილება, როგორც წესი, მოითხოვს: თანხმებულ შეთანხმებებს, მაგალითად, მესამე პირთა მიმართ მოთხოვნის უფლების გადაცემას ლიზინგის გამცემიდან ლიზინგის მიმღებზე, ლიზინგის გამცემის შეტყობინების ვალდებულებას, შეთანხმებას შეკეთების ან ანაზღაურების შესახებ. ვალდებულებისა და რისკის განაწილებასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურობა ლიზინგის კანონის განზოგადებული დებულებებით არადამაკმა-ყოფილებლადაა მონესრიგებული. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტს მივყავართ კაბალური ხელშეკრულების დადების საშიშროებამდე, რომელიც ეკვივალენტურობის პრინციპის დარღვევის საფუძველზე იწვევს რისკის ისეთ გადანაწილებას, რაც ტვირთად აწვება ლიზინგის მიმღებს. შესაბამისად, ლიზინგის კანონით, ლიზინგის მიმღებს ნივთის დალუპვისას (ისევე, როგორც ზემოთ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისას, ლიზინგის გამცემის მიერ ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში) ეკისრება ლიზინგის მთლიანი საზღაურის გადახდის ვალდებულება. ასეთი ვალდებულება დაუშვებელი იქნებოდა დასავლეთის კანონმდებლობათა უმრავლესობაში. აქ კიდევ ერთხელ იჩენს თავს ლიზინგის გამცემის მიმართ კანონის ცალმხრივი კეთილგანწყობა, რომელიც იგნორირებას უკეთებს სამოქალაქო კოდექსის ფუძემდებლურ ფასეულობებს, როგორცაა: შესრულებისა და სამაგიერო შესრულების პრინციპი, რისკის განაწილება და მომხმარებელთა დაცვის პრინციპი.

ლიზინგის კანონი არ აწესრიგებს ლიზინგის მიმღების ხელშეკრულების საცილოდ გახდისა და მოშლის უფლებას. იგი არ ითვალისწინებს ასევე ლიზინგის გამცემის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევებს და ნივთის უნაკლოობის უზრუნველყოფის ვალდებულებებს.

ლიზინგის გამცემს მე-10 მუხლი ანიჭებს უფლებას, ყოველთვის იყოს დაშვებული ლიზინგის საგანთან და განახორციელოს მისი კონტროლი. კონკრეტული ხელშეკრულების დებულებებისაგან დამოუკიდებლად, ლიზინგის მიმღები კანონითაა ვალდებული, უზრუნველყოს ლიზინგის გამცემის დაშვება ნივთთან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე და მისცეს მას შესაძლებლობა, გაეცნოს ნივთთან დაკავშირებულ საბუთებს. ლიზინგის მიმღების აღნიშნული ვალდებულება არაა დამოკიდებული არანაირ დამატებით აუცილებელ პირობებზე და არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვას. საყოველთაოდ მიღებულია, რომ ლიზინგის მიმღებს ეკისრება ლიზინგის ნივთის მოვლის ვალდებულება. ეს მომდინარეობს ლიზინგის მიმღების ნივთთან სიახლოვიდან და ამიტომაც მართებული. შედეგად იგი პასუხისმგებელია ნივთის ყოველგვარ გაფუჭებაზე და ვალდებულია, გადაიხადოს შეკეთების ხარჯები (იხ. ზემოთ). მიზანი არის ლიზინგის გამცემის განტვირთვა ნივთზე ზრუნვისაგან, მასზე მუდმივი კონტროლისა და მისი მოვლისაგან. ამგვარად, როგორც წესი, არ არსებობს იმის საჭიროება, რომ მოხდეს ისეთი მაკონტროლებელი ფუნქციების კანონით გამყარება, რომლისგან განთავისუფლებასაც ცდილობს ლიზინგის გამცემი საერთაშორისო პრაქტიკაში. გარდა ამისა, ეს ნორმა უსაფუძვლოდ ზღუდავს ლიზინგის მიმღების უფლებებს. დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში ქირავნობის სამართალი (რომელიც, როგორც წესი, ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გამოიყენება) ითვალისწინებს იმას, რომ გამქირავებელი ვალდებულია, სარგებლობაში გადასცეს ნივთი და განსაკუთრებული საფუძვლის გარეშე არ შეუშალოს ხელი დამქირავებელს მის გამოყენებაში. არ არსებობს საფუძველი, რომლის გამოც შეიძლება შეიზღუდოს ეს ძირითადი პრინციპი ლიზინგის გამცემისათვის კანონით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის შესაძლებლობის მინიჭებით.

**დ) მე-4 თავი – ანგარიშსწორების წესი, მე-5 თავი – გაკოტრება და მე-6 თავი – დასკვნითი დებულებები**

მე-4 თავი არეგულირებს ანგარიშსწორების წესს, მე-5 თავი კი ერთ-ერთი მხარის გაკოტრების შემთხვევას. მე-6 თავი შეიცავს კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ დებულებებს. ეს დებულებები, არსებითად, არ აწესრიგებს არაფერს, რაც სამართლის ზოგადი პრინციპებიდან არ გამომდინარეობს, ან რასაც არ მოიცავს, ჩვეულებრივ, ხელშეკრულების პირობები. შესაბამისად, ისინი ლიზინგის ხელშეკრულებათა მოსაწესრიგებლად აუცილებელი არაა.

**3. დასკვნა**

ლიზინგის ახალ კანონთან მიმართებით, არსებითად, დამაფიქრებელია შემდეგი:

ლიზინგის კანონი ვერ ახერხებს, ყოველმხრივ მოაწესრიგოს ლიზინგის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები და მოიცავს მხოლოდ ზოგიერთ ზოგად პრინციპს. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ პარალელურად მოქმედება უნდა გააგრძელოს სსკ-ის 576-ე და მომდევნო მუხლების პრინციპებმა და ასევე სსკ-ის 580-ე მუხლის მითითების საფუძველზე ქირავნობის სამართალმა. თუმცა გაურკვეველია ნორმათა იერარქია: ლიზინგის კანონმა, მისი პრეამბულის თანახმად, „ხელი უნდა შეუწყოს და განავითაროს“ სსკ-ის 576-ე და მომდევნო მუხლების დებულებები. ერთი მხრივ, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს კანონი სსკ-ის დებულებებთან მიმართებით *lex specialis*-ია (სპეციალური კანონი) და სსკ მხოლოდ ხარვეზების შევსების, განმარტების საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული; მეორე მხრივ, ლიზინგის კანონი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც განმარტებისა და დაკონკრეტებისათვის დამხმარე მასალა, ასე რომ, ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში სსკ-ის დებულებები კვლავ ძალაში დარჩება. ლიზინგის კანონს აკლია მითითება სსკ-ის დებულებათა მოქმედების შესახებ;

ლიზინგის კანონის 1-ლი და მე-2 თავის ზოგადი დებულებები, უკლებლივ ყველა, ზედმეტია. ისინი ნაწილობრივ მხოლოდ იმეორებენ სსკ-ის ტექსტს, ნაწილობრივ კი აყალიბებენ გამოუსადეგარ დეფინიციებსა და ხელშეკრულების ტიპებს, რომლებსაც საკითხის სამართლებრივ მონესრიგებაში წვლილი არ შეაქვთ. ისინი თავიანთი არასისტემურობითა და ურთიერთსაწინააღმდეგო ფორმულირებით გაუგებრობას უფრო იწვევენ, ვიდრე სიცხადე შემოაქვთ. ზოგიერთ პუნქტში ეს ნორმები ეწინააღმდეგება სსკ-ის დებულებებს და აქამდე მკაფიო სამართლებრივ საფუძველს გაუგებარს ხდის;

მე-3 თავმა უნდა განსაზღვროს ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები. ფაქტობრივად ისინი მოუწესრიგებელნი რჩებიან. მოცემული ნორმები მხოლოდ იმისათვის გამოდგება, რომ კანონის ძალა მიანიჭოს საერთაშორისოდ აღიარებულ სახელშეკრულებო დათქმებს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი უსაფუძვლოდ ზღუდავენ სახელშეკრულებო თავისუფლებას და ავინრობენ ლიზინგის მიმღების უფლებებს. ლიზინგის კანონი შესაბამისობაში არ იქნა მოყვანილი სსკ-ის ზოგად ფასეულობებთან და პრინციპებთან. ამასთან, მხედველობაში არ იქნა მიღებული სალიზინგო ურთიერთობების მონესრიგების პრაქტიკა დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამართალში. ლიზინგის კანონი მკვეთრად არღვევს თანაფარდობას ლიზინგის გამცემის სასარგებლოდ. საქართველოს ქირავნობისა და ნასყიდობის სამართალი კი თანაბრად ითვალისწინებს ორივე მხარის უფლებებს. აქედან გამომდინარე, ლიზინგის კანონში მომხმარებელთა უფლებების მკვეთრი ხელყოფა ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალს. ამის გამო ლიზინგის კანონი სსკ-ის სხვა დებულებებთან მიმართებაშიც სისტემურად შეუსაბამოა. ამასთან, ლიზინგის კანონი უგულვებელყოფს ზოგადად სახელშეკრულებო სამართლის ძირითად პრინციპებს და ამ ფორმით იგი მოქმედ სსკ-ს ეწინააღმდეგება;



## სტატია 20

მე-4 და მე-5 თავებში ფორმულირებულია რამდენიმე პრინციპი, რომლებიც ზოგადი დებულებებიდანაც გამომდინარეობენ.

საერთოდ გაუგებარი რჩება, თუ რა სიკეთე უნდა მოიტანოს ლიზინგის კანონმა. საერთაშორისოდ აღიარებული ლიზინგის ზოგადი პრინციპები დასავლეთში თითქმის ყველა ქვეყანაში გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის წესებიდან. ისინი საქართველოშიც უკვე მოქმედებენ სსკ-ის 576-ე და მომდევნო მუხლების საფუძველზე. საქართველოში არსებული სამართლებრივი ბაზა სრულყოფილია და აკმაყოფილებს ეკონომიკური ურთიერთობების თანამედროვე მოთხოვნებს.

უკვე მონესრიგებულ დებულებებთან შედარებით უფრო შორს მიმავალ ახალ კოდიფიკაციას მაშინ ექნებოდა აზრი, თუ იგი დეტალურად მოაწესრიგებდა ლიზინგის სამართალს და ეკონომიკური თუ სხვა კონკრეტული ინტერესების გათვალისწინებით, შეავსებდა იმ ზოგად ნორმებს, რომლებიც ლიზინგის ურთიერთობის კუთხით არაამომწურავად არის მონესრიგებული ქირავნობის სამართლით. ეს არ მოხდა. აქამდე არსებული ცხადი სამართლებრივი საფუძველი არასისტემური ლიზინგის კანონით გართულებულია. ამ კანონით იზღუდება სამართლებრივი შესაძლებლობები; ბევრი საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული ლიზინგის ფორმა, კანონის დებულებებიდან გამომდინარე, საერთოდ დაუშვებელი ხდება. აღნიშნული კანონით საქართველო ემიჯნება საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ პრინციპებს. ლიზინგის კანონი ქართული სამართლისა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების კონტექსტში არსებითად უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

დაბოლოს, გაუგებარია, თუ რატომ უნდა შეიზღუდოს ლიზინგის მიმღების უფლებები იმდენად, რაც ევროპული კავშირის სტანდარტებით დაუშვებელი იქნებოდა. კანონი ცალმხრივად ემსახურება მსხვილი, უპირატესად უცხოელი, ლიზინგის გამცემის ინტერესებს ქართველი მომხმარებლის ხარჯზე.

სსკ-ის უკვე არსებული ნორმების ფონზე ლიზინგის ახალი კანონი ზედმეტია, სამართლებრივი სიცხადისათვის საზიანო და ფუნქციონირებადი სალიზინგო ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ხელისშემშლელი. ვიმედოვნებთ, რომ მაქსიმალურად სწრაფად მოხდება კანონის გადასინჯვა, ან, რაც უფრო მარტივი იქნებოდა, მისი ძალადაკარგულად გამოცხადება.